ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 35

სხდომის ჩატარების დრო:
30 ივნისი, 2023 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:
ქალაქ ქუთაისის ადგილობრივი
თვითმმართველობის შენობა.
რუსთაველის გამზირი N3

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი **თეა ჯუღელი.**

ესწრებოდნენ:
იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **თეა ჯუღელი**
იურიდიულ საკითხთა კომისიის წევრები:
დიმიტრი მხეიძე, პაატა ლილუაშვილი, ბაქარ მახარაძე, ბექა ქებულაძე, ხათუნა არველაძე.
სულ: 6 წევრი.

სხდომას არ ესწრებოდნენ: გია ბასილაძე, თედო მესხი, კახაბერ გაბუნია, ლაშა შალამბერიძე, რომან ქვაჩაკიძე.

სულ: 5 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ბატონი ირაკლი შენგელია**, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელი, **ბატონი გაგა სანდუხაძე,** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი, **ბატონი ირაკლი გიორგაძე**, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი, **ბატონი პეტრე ადამაძე,** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სოციალური სამსახურის ხელმძღვანელი, **ბატონი ვარლამ გობეჯიშვილი.**

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თეა ჯუღელმა** და წარმოადგინა სხდომის

დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიში

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული განყოფილების საქმიანობის ანგარიში

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თეა ჯუღელმა** დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 6 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდა კომისიის წევრი: გია ბასილაძე, თედო მესხი, ლაშა შალამბერიძე, კახაბერ გაბუნია, რომან ქვაჩაკიძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს** :

დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის პირველი საკითხის - **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიში**

ზემოაღნიშნული საკითხი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **გაგა სანდუხაძემ.**

(ანგარიში თან ერთვის)

გაგა სანდუხაძემ განმარტა: - „წარმოგიდგენთ ჩვენი სამსახურის მიერ გაწეული სამუშაოს ანგარიშს, რომელიც მოიცავს 2023 წლის 6 თვეს.

მოგახსენებთ, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შიდა ფინანსური კონტროლის დეპარტამენტის რეკომენდაციების გათვალისწინებით, სამსახურმა 2022 წელს შეიმუშავა ახალი დებულება, სადაც დეტალურად აისახა გაცემული რეკომენდაციები.

შიდა აუდიტის სამსახურის ინიციატივითა და ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, სამსახურებრივი ინპსექტირების განყოფილება 2022 წელს განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების შედეგად გავიდა სამსახურიდან და მასთან ერთად შიდა აუდიტს გაემიჯნა ინსპექტირების ფუნქციები, რამაც სამსახურს საშუალება მისცა დაახლოებოდა საუკეთესო პრაქტიკას და მეტი დრო დაეთმო შიდა აუდიტის მიმართულების საქმიანობის წარსამართად. შიდა აუდიტორული საქმიანობა მოიცავს, როგორც მარწმუნებელ ასევე საკონსულტაციო საქმიანობას.

შიდა აუდიტის სამსახურმა რისკის შეფასების საფუძველზე 2022 წელს შეიმუშავა სტრატეგიული გეგმა, რომლის მიხედვითაც დაისახა პრიორიტეტული მიმართულებები და შემუშავდა 2023 წლის გეგმა.

შიდა აუდიტის სტრატეგიულ გეგმაზე დაყრდნობით, შემუშავდა და მერის მიერ დამტკიცდა შიდა აუდიტის 2023 წლის გეგმა. წლის განმავლობაში დაიგეგმა შემდეგი ობიექტების შიდა აუდიტორული შემოწმების განხორციელება: შპს „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანია“, ა(ა)იპ ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანება“, ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის მერიის ფოლკლორის ცენტრის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი“, არაგეგმიური აუდიტორული შემოწმება. 2023 წლის ივნისის თვის მდგომარეობით დასრულებულია შპს „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის“ გეგმიური, სისტემური, ფინანსური და შესაბამისობის შიდა აუდიტორული შემოწმება. ამჟამად შიდა აუდიტის სამსახური ახორციელებს ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის მერიის ფოლკლორის ცენტრის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის“ სისტემურ, ფინანსურ და შესაბამისობის შიდა აუდიტორულ შემოწმებას, კერძოდ მიმდინარეობს შიდა აუდიტორული ანგარიშის პროექტის მომზადების პროცესი.

2023 წლის განმავლობაში შიდა აუდიტორების პროფესიული განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, მონაწილეობა მიიღეს შემდეგ ღონისძიებებში:

- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შიდა ფინანსური კონტროლის დეპარტამენტის მიერ ორგანიზებულ სწავლება-ტრენინგებში;
- საჯარო აუდიტის ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ ტრენინგ-კურსში - „მართვის თანამედროვე პრაქტიკები“;
- საჯარო აუდიტის ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ ტრენინგ-კურსში „საგადასახადო და აუდიტორული პროცესების მართვა“;
- საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია - ACCA P4 - ფინანსური მართვა;
- „ღია საზოგადოების ფონდის“ მიერ ორგანიზებულ დისტანციურ ტრენინგ-კურსში „ძირითადი საკითხები თანასწორობის უფლების შესახებ“.

მუნიციპალური თანამშრომლობის ფარგლებში მიმდინარე წელს განხორციელდა სამუშაო პრაქტიკის გაზიარება ბაღდათსა და ვანის მუნიციოალიტეტების შიდა აუდიტის სამსახურის თანამშრომლებთან.

მიმდინარე წლის 30-31 მარტს შიდა აუდიტის სამსახურმა ჩაატარა სამუშაო შეხვედრა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ახალ თანამშრომლებთან, სადაც გაცნობილ იქნა ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესები საჯარო სამსახურში, საქართველოს კანონმდებლობისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა სამართლებრივი აქტების მიმოხილვის გზით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და სსიპ „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს“ შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე, 2023 წლის 17 მაისს შიდა აუდიტის სამსახურმა აკაკი წერეთლის სახელმწიფო

უნივერსიტეტის საჯარო მართვის ფაკულტეტის სტუდენტებთან ჩაატარა პროფესიული პრაქტიკის გაზიარების სამუშაო შეხვედრა.

აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის მთავარ კონტრაქტორს Tetra Tech ARD-სა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტს შორის 2023 წლის 3 მაისს გაფორმებული მემორანდუმით დაგეგმილია 2023-2025 წლებში შიდა აუდიტორების კვალიფიკაციის ამაღლება შიდა აუდიტის სტანდარტებში, რაც გულისხმობს თანამშრომელთა ძირითადი ნაწილის სერტიფიცირებას საჯარო აუდიტის პროგრამის შესაბამისად. ეს პროგრამა ემსახურება შიდა აუდიტორების სერიოზულ გადამზადებას, რომელიც რამდენიმე თვიან პერიოდს მოიცავს თავისი გამოცდით და აღნიშნულის შემდეგ შიდა აუდიტორებს ექნებათ მეტი კვალიფიკაცია, მეტ სარგებელს მოუტანენ დაწესებულებას. ასევე დაგეგმილია, მათთან ერთად რამოდენიმე აუდიტის ჩატარება, მათ შორის IT აუდიტის, რომელიც საქართველოში დიდი გამოწვევაა და ჯერ მუნიციპალიტეტების დონეზე მსგავსი შიდა აუდიტი არ ჩატარებულა, მხოლოდ რამდენიმე სამინისტროს დონეზე მოხდა. ამ უნარების შეძენა მნიშვნელოვანი იქნება, რომ ჩვენ სწორად გამოვიყენოთ ის მერიაში. საუკეთესო პრაქტიკების გამოყენება მნიშვნელოვანია და იმედია მოგვეცემა საკრებულოსთან ერთად შესაძლებლობა, მოვახერხოთ გაცემული რეკომენდაციების მონიტორინგის განყოფილების შექმნა შიდა აუდიტის სამსახურში, რაც მოგვცემს შესაძლებლობას ჩვენს მიერ გაცემული რეკომენდაციები არ დარჩეს კონტროლის გარეშე. ჩვენ მსგავს საქმიანობას ახლაც ვასრულებთ და წლიურ ანგარიშში უფრო დეტალურად ნოემბერში წლის ანგარიშში იქნება მოცემული, თუმცა თუ გვექნება ამის საშუალება რომ შეიქმნას ასეთი განყოფილება, ეს იქნება ძალიან კარგი. ახლა სამსახურში 6 აუდიტორი ვართ და იმის გასარკვევად, შესრულდა თუ არა ჩვენ მიერ გაცემული რეკომენდაცია ბევრი სამუშაოა ჩასატარებელი.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

თეა ჯუღელი: - „ბატონო გაგა, რაც თქვენ ახლა ბრძანეთ სწორედ აღნიშნულზე სახელმწიფო აუდიტსაც აქვს მითითებული, მექანიზმები უნდა იქნას მითითებული, როგორ განხორციელდება აუდიტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების კონტროლი. მადლობა კიდევ ერთხელ და ჩემს კოლეგებს გადავცემ სიტყვას.“

ხათუნა არველაძე: - „თქვენ ახსენეთ, რომ სატრანსპორტო კომპანიაში უკვე ჩაატარეთ აუდიტი, რა პრობლემები იქნება აღმოჩენილი?“

გაგა სანდუხაძე: - „მე კანონიდან გამომდინარე, შეზღუდული ვარ გავასაჯაროვო შიდა აუდიტის შედეგები, თუმცა ჩვენს მიერ გაცემული რეკომენდაციები აუცილებლად დაეხმარება იმაში, რომ სატრანსპორტო კომპანიამ გაზარდოს შემოსავალი, მინიმუმადე დაიყვანოს სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების რისკები, ასევე ხარჯვის ეფექტიანობის და საჯაროობის კუთხით მნიშვნელოვნად იქნება გაუმჯობესებული მათი საქმიანობა და თუ ეს რეკომენდაციები იქნება შესრულებელი, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება მათი საქმიანობა და ნათლად დავინახავთ ამას.“

ირაკლი შენგელია: - „ამ სამსახურის ინსტიტუციური გაძლიერება ძალიან მნიშვნელოვანია, რეკომენდაციების შესრულების ნაწილში მონიტორინგი, რა თქმა უნდა

საჭიროა, მაგრამ გარდა ამისა, ზოგადად ეს სამსახური სხვა ფორმით უნდა არსებობდეს და ანგარიშვალდებულება და პასუხისმგებლობის ნაწილი უფრო მეტად უნდა გაიზარდოს, ვგულისხმობ, მაგალითად როდესაც სამსახური პირდაპირ ვალდებულია საკრებულოს წინაშე და ამის გარდა, პასუხისმგებლობას საკრებულო იღებს თავის თავზე, შეიძლება ვიმსჯელოთ ფორმებზე, რა ფორმით უნდა დაამტკიცოს საკრებულომ სამსახურის ხელმძღვანელი, თუმცა კარგი პრაქტიკიდან გამომდინარე ალბათ, კარგი იქნება ეს სამსახური ანგარიშვალდებული იყოს საკრებულოს წინაშე. მერიას და საკრებულოს განაწილებული აქვს უფლებამოსილებები კანონით და ამ მხრივ, საკრებულოს უფლებამოსილებების გაზრდა იქნება მნიშვნელოვანი ზედამხედველობის ფუნქციის გასაძლიერებლად. საკრებულოს კომისიის ფორმატში ვიმსჯელებთ ჩვენ ამ საკითხზე, რომ რაღაც ფორმით წარვადგინოთ პარლამენტში ეს საკითხი. მეორე რაც მინდა, რომ ვთქვა, კარგი პრაქტიკაა და მინდა დადებითი შეფასება გამოვხატო, რომ სამსახურს გააჩნია თავისი სამოქმედო სტრატეგია. მესამე საკითხი, გარკვეული შეზღუდვები არსებობს საკანონმდებლო დონეზე, დოკუმენტების გასაჯაროება დამოკიდებულია თქვენს ნებაზე, თქვენ შეგიძლიათ აუდიტორული მოსაზრებები თუ დასკვნები წარუდგინოთ მერს, და მერთან შეუთანხმებლადაც გაუგზავნოთ დასკვნები სახელმწიფო აუდიტს, რეალურად ეს არის საკანონმდებლო მოცემულობა. მე მახსოვს, რომ 2019-2020 წელს საკრებულოზე მოხდა თქვენი აუდიტორული საქმიანობის შედეგების წარდგენა, საბინაო სამსახურის და ბაგა-ბაღების გაერთიანების საქმიანობის შეფასებას, მაშინ რა პრინციპით იხელმძღვანელეთ, როდესაც საკრებულოს წარუდგინეთ ეს დასკვნები და იგივე პრინციპიდან გამომდინარე, გვქონდეს მოლოდინი, რომ იგივე სატრანსპორტო სამსახურის და არამარტო, აუდიტორულ დასკვნას გაგვაცნობთ? ბოლო შეკითხვა, კარგი პრაქტიკაა დღევანდელი დღეც, კარგი იქნება თუ არა წელიწადში ორჯერ მოვისმინოთ თქვენი ანგარიში და სადეპუტატო კითხვის ნაწილში, აქაც ხომ არ საჭიროებს კანონმდებლობა დახვეწას ინსტიტუციურ ნაწილში, რომ გაძლიერდეს დეპუტატის როლი და დეპუტატს უფლება ჰქონდეს სადეპუტატო კითხვით მომართვის შემთხვევაში, თქვენგან მიიღოს პასუხი აუდიტორული დასკვნების შესახებ?“

გაგა სანდუხაძე: - „პირველ ნაწილში, მოგახსენებთ, რომ როგორც ჩემთვის ცნობილია, რამოდენიმე კანონი ინიცრებულია პარლამენტში შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელის საკრებულოს მიერ არჩევის შესახებ. რაც შეეხება აუდიტორებული დასკვნის წარმოდგენას, მერიის ფინანსთა სამინისტროსთან მემორანდუმის საფუძველზე მოხდა იმ ანგარიშის გასაჯაროვება. რაც შეეხება ახალ მემორანდუმს, რომელზეც ვისაუბრე, იქაც გათვალისწინებულია, რომ უშუალოდ მათი მონაწილეობით ჩვენს მიერ ჩატარებული ანგარიშების განხილვა უნდა მოხდეს საკრებულოს სხდომაზე, 2025 წლის ბოლომდე უნდა განხორციელდეს მინიმუმ 3 აუდიტორული შემოწმება მათი ჩართულობით და მათი წარდგენა საკრებულოს სხდომაზე. ჩვენთვისაც კარგი იქნება ის სამუშაო რაც გავწიეთ დაინახონ სხვებმაც, მაგრამ ამ ეტაპზე კანონი გვზღუდავს და თუ ეს ვალდებულება კანონით მოგვეხსნება, შესაბამისადაც მოვიქცევით.“

ირაკლი შენგელია: - „სახელმწიფო აუდიტის ანგარიში საჯაროა, მაგრამ მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურის შიდა აუდიტის ანგარიში არ არის საჯარო და ხელმისაწვდომი საკრებულოსათვის, რაც გარკვეულ კაზუსს წარმოადგენს. აქვე საინტერესოა ის საკითხი, რომ საკრებულოს უფლება აქვს მოიწვიოს დამოუკიდებელი აუდიტორი მერიის

ნებისმიერი სამსახურის შესამოწმებლად, მაგრამ დამოუკიდებელი აუდიტორის ფინანსების გამოსაყოფად საკრებულოს დამოუკიდებელი ბიუჯეტი არ გააჩნია და შესაბამისად ფულს ამისთვის ვერ დახარჯავს, რაც მეორე კაზუსია ასევე“.

ბექა ქებულაძე: - „გავაგრძელებ შეკითხვას, ჩვენ როდესაც წლიური ბიუჯეტის განხილვის პროცესში ვართ და ვსახავთ პრიორიტეტებს, ამ პრიორიტეტის დასახვის პროცესში თუ თქვენი პასუხი იქნება რომ არ არის საჯარო, მაშინ გვითხარით ბერკეტი მომდევნო წლის ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში გავითვალისწინოთ ის ხარვეზები და გამოწვევები, რაც მნიშვნელოვანი იქნება ბიუჯეტის დაგეგმარების პროცესში?“

გაგა სანდუხაძე: - „ზოგადად თუ რამე საკითხი სამსახურს აწუხებს, ისედაც შეუძლიათ ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში წარმოგიდგინონ თქვენ“.

გრიგოლ შუშანია: - „წარმოუდგენელია რამე დავგეგმოთ სწორად, თუკი არ გვეცოდინება რამდენად არის ის ეფექტური. ეფექტურობის შემოწმების მექანიზმი ჩვენ არ გვაქვს, ერთადერთი მე შემიძლია ვისმჯელო საბინაო სამსახურის საქმიანობის შესახებ დასკვნით, რომელზეც გეთანხმებით, რომ სრულიად კვალიფიციურად ძალიან კარგად დაწერილი იყო. ამ დასკვნის გასაჯაროვების შემდეგ, მე მივწერე მერს მოეწოდებინება სხვა დასკვნებიც, მომწერეს, რომ ეს სამსახურები შევამოწმეთ, მაგრამ აუდიტის შესახებ კანონით მეკრძალება ამ ინფორმაციის მოწოდებაო, რაც იურიდიულად გაუმართავია და ამ დასკვნებზე წვდომა დღემდე არ გვაქვს. იქ იმდენი დარღვევა იყო, ეხება ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ დაფინანსებულ სამსახურს, რომელსაც მოსახლეობასთან აქვს შეხება, იყო სკვერები, რომელიც გაკეთებული არ იყო, რაზეც არც პასუხისმგებლობა დამდგარა. შესაბამისად, არ მიეცა არავის შესაძლებლობა გადაგვემოწმებინა გამოასწორა თუ არა ამ სამსახურმა ეს საკითხები. აბოლუტურად ვეთანხმები, რომ აუდიტორული სამსახური პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებული უნდა იყოს საკრებულოს წინაშე“.

თეა ჯუღელი: - „აი ახლა კიდევ ერთხელ გავხსენი კანონი, რაზეც ბატონი გაგა საუბრობდა მე-19 მუხლში წერია, რომ დაწესებულების ხელმძღვანელის გარეშე არ გახადოს საჯარო შიდა აუდიტორული შემოწმების შედეგებიო, ანუ შესაძლებელია ეს სამართლებრივი კოლიზიაც იყოს, მე ვფიქრობ ეს გამოსწორდება, რომ ახლადშექმნილი ანტიკორუფციული ბიურო სტრატეგიაზე მუშაობს, სადაც იქნება ადგილობრივი თვითმმართველობის ხაზიც განვითარებული. ჩემს სადეპუტატო კითხვაზეც მინდა ვთქვა, რომელიც მქონდა გაგზავნილი უკვე მიღებული დასკვნის კონტროლის მექანიზმების შესახებ. ჩვენ ამ ეტაპისათვის არ გვაქვს მექანიზმი, რომლითაც შევამოწმებთ მაგალითად ხელშეკრულებები, პირდაპირ სადეპუტატო კითხვაში მეწერა, რა მექანიზმით ვახორციელებთ მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდული სერვისების და პროდუქტების ხარისხის მონიტორინგს, ეს კითხვა იქიდან დაიბადა, რომ მუნიციპალიტეტში ბევრი სოციალური პროგრამა/პროექტი გვაქვს, რომელთაგან ზოგიერთი ძალიან მგრძნობიარე საკითხებს მოიცავს და მნიშვნელოვანია მონიტორინგი. მაგალითად შინ მოვლის პროგრამაზე დაიდო სხვადასხვა დასკვნები, შიდა აუდიტის დასკვნით სხვადასხვა ინფორმაციები შეაჯერა და აღმოაჩინა, რომ დახარჯული თანხების 70 პროცენტი მოხმარდა ადმინისტრაციულ ხარჯებს და რეალურ საჭიროებას არ მოხმარდა. ჩვენ რაღაც მექანიზმი აუცილებლად უნდა შევიმუშავოთ სამართლებრივ დონეზე, რომ მუნიციპალიტეტი როდესაც

თანხას დახარჯავს, ყველაფრის კონტროლი და მონიტორინგი შეგვეძლოს. საკრებულო და ყველა წევრი ჩავერთვებით ამ პროცესში, რამდენადაც შესაძლებელი იქნება.

გრიგოლ შუშანია: - „ქალბატონო თეა, აუდიტის ძველი დასკვნები, რომლითაც შენიშვნები დაიდო, გამოსწორდა თუ არა ეს ხარვეზები ესეც ვერ კონტროლდება. დარწმუნებული ვარ, რომ საბინაო სამსახურში რაც ხარვეზები იყო ისევ ის იქნება."

დიმიტრი მხეიძე: - „ჩვენ ვერანაირად ვერ გავაკონტროლებთ საკითხს, სანამ არ შევისწავლით სერვისის რეალურ ღირებულებას, სად რა თანხები გადის, მხოლოდ ამის შემდეგ შეგვიძლია სერვისის მომწოდებელს განვუსაზღვროთ რა თანხები რა მიმართულებით მიმართოს და დახარჯოს, რა მოხმარდეს ბენეფიციარს და რა ადმინისტრაციულ ხარჯებს. ლოგიკა პირიქითაა, მოგება უნდა გრჩებოდეს 30 პროცენტი და 70 პროცენტი უნდა ხმარდებოდეს ბენეფიციარს, რომ ვთქვათ რომ სერვისი ხარისხიანი და შედეგზე ორიენტირებულია."

ირაკლი შენგელია: - „კარგი დოკუმენტი გვაქვს World Vision-ის დახმარებით, რომლითაც შეფასებულია წლების განმავლობაში ჯანდაცვის და სოციალური პროგრამები და ამ პროგრამების ეფექტურობა, გარდა ამისა, კარგი კვლევა ჩატარდა იმის დასადგენად თუ რამდენად ხელმისაწვდომია ეს პროგრამები ბენეფიციარებისათვის, ძალიან კარგი მიგნებებია და გამოსადეგი დოკუმენტია, რასაც ყველა დეპუტატი უნდა გაეცნოს. მესმის, რომ აუდიტმა თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეიძლება შეამოწმოს ფინანსური ნაწილი, მაგრამ ეფექტურობის ნაწილს ვერ შეაფასებს, მაგალითად ბენეფიციარის აზრს. ამ დოკუმენტით შეგვიძლია ვიმსჯელოთ და რეკომენდაციები მოვამზადოთ. რამდენად გაქვთ ინფორმაცია ამ დოკუმენტის შესახებ?"

ვარლამ გობეჯიშვილი: - „რა თქმა უნდა ვიცი, ჩემი პროგრამებია. მე აუდიტსაც მივეცი პირველივე მოსვლისთანავე, რომ თავადაც გაცნობილიყვნენ და რეკომენდაციებისათვის ყურადღება მიექციათ. ბევრი გავითვალისწინეთ იქიდან და ბევრსაც გავითვალისწინებთ იმიტომ, რომ ყველაფერს ერთად რადიკალურად ვერ შეცვლი. ბუნებრივია ჩვენ ყურადღება მივაქციეთ ადმინისტრირების ნაწილში რა შეიძლებოდა ყოფილიყო გასათვალისწინებელი, რომ ბენეფიციარზე უკეთ მორგებული ყოფილიყო და მეორე საკითხი ეხებოდა იმას თუ რომელმა პროგრამამ ამოწურა მისი სიცოცხლისუნარიანობა და მდგრადობა და რომელი შეიძლება შევცვალოთ უკეთესით. მას მერე ვხვეწავთ, შეგვაქვს ცვლილებები. მაგალითად, მრავალშვილიანი ოჯახები, რომლებიც იღებენ დახმარებას ჩვენგან და არ ცხოვრობენ მუდმივად ერთად, აი ამ ოჯახების დახმარებასთან დაკავშირებით. პროგრამის მიზნებისათვის ჩვენ შევთანხმდით, რომ ოჯახი წარმოადგენს ერთ განცალკევებულ ფართობზე მცხოვრებ შინამეურნეობას, რომელიც შემოსავალს განკარგავს შვილებისთვისაც, თუ ოჯახი გასულია საზღვარგარეთ ხანგრძლივი დროით, მათ შორის 6 თვეზე მეტი ვადით, ვთვლით, რომ არ უნდა ეძლეოდეს ასეთ ოჯახს დახმარება, რომელიც შეიძლება აკლდებოდეს სხვა უფრო მოწყვლად ოჯახს. ყოველ შემთხვევაში, მსგავსი მიგნებები და რეკომენდაციები ჰქონდათ, თუმცა ის 2020 წლის პროგრამები იყო, რომელიც შეფასდა. ძირითადი ნაწილი პროგრამებისა არ შეცვლილა, თუმცა ვხვეწავთ რეკომენდაციების შესაბამისად მათ."

ამით აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თეა ჯუღელმა** დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 6 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გია ბასილაძე, თედო მესხი, ლაშა შალამბერიძე, კახაბერ გაბუნია, რომან ქვაჩაკიძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიში.

მუხლი 2. დღის წესრიგის პირველ საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეორე საკითხის - **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული განყოფილების საქმიანობის ანგარიში**

ზემოაღნიშნული საკითხი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელმა, ბატონმა **ირაკლი გიორგაძემ.**

(ანგარიში თან ერთვის)

ირაკლი გიორგაძემ განმარტა: - „რას საქმიანობს იურიდიული განყოფილება? პირველ რიგში, იგი იურიდიულ კონსულტაციას უწევს მერიის სამსახურებსა და თანამდებობის პირებს, ამზადებს სამართლებრივ დოკუმენტებს, ამოწმებს მერიაში შემუშავებული სამართლებრივი აქტების პროექტების, ადმინისტრაციული ხელშეკრულებების, ოქმებისა და სხვა დოკუმენტების სამართლებრივ გამართულობას, მათ შესაბამისობას მოქმედ კანონმდებლობასთან, იცავს მუნიციპალიტეტის კანონიერ ინტერესებს სასამართლოში, ასევე მესამე პირებთან ურთიერთობაში, აწარმოებს საჯარო ინფორმაციის რეესტრს და გასცემს საჯარო ინფორმაციას, ამზადებს სამართლებრივ დასკვნებს მერიის სამსახურების მიერ შემუშავებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი პროექტების, აგრეთვე საკრებულოში წარსადგენი პროექტების შესახებ, სამართლებრივ დასკვნებს ამზადებს ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ განსახილველ სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, წერილობით ინფორმაციას ამზადებს ახალი კანონის მიღებასთან ან მოქმედ საკანონმდებლო ბაზაში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით, ასრულებს კანონმდებლობით დაკისრებულ სხვა ვალდებულებებს, სამსახურის ხელმძღვანელისა და მერის დავალებებს.“

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

თეა ჯუღელი: - „ჩვენ რომ გვინდოდეს ინიციატივა, თქვენ რამდენად გაქვთ რესურსი და შესაძლებლობა ეს ინიციატივა გარკვეულ სამართლებრივ ჩარჩოში მოვაქციოთ, მაგალითად, მუნიციპალიტეტში გვაქვს სოციალური საცხოვრისების ნაკლებობა, შეგვიძლია ვიხელმძღვანელოთ ევროპის რამდენიმე სოციალურ სახელმწიფოში არსებული პრაქტიკით და დეველოპერებს შევთავაზოთ სარფიანი წინადადება, მშენებლობის ნებართვის სანაცვლოდ გარკვეული საცხოვრებელი ფართი გადასცენ ჩვენს ბენეფიციარებს, აი ამ კუთხით, შეგიძლიათ თუ არა ჩართვა და საკანონმდებლო ბაზის შექმნა?"

გრიგოლ შუშანია: - „მანდ ერთი რამე შეიძლება, ვთქვათ, თუკი ეკუთვნის ხუთი სართული, დავუმატოთ ერთი სართული იმ პირობით, რომ გარკვეულ ფართს ისევ გადმოგვცემს უკან. აქ ჩვენთან ახლა ისე იცემა ნებართვები, კომპენსაციას იქეთ თუ მივცემთ მშენებლებს, იმდენი ხანია საჭირო და იმდენი ფურცლებით უწევთ სიარული არქიტექტურის სამსახურში."

ირაკლი გიორგაძე: - „არქიტექტურული კოდექსი საგამონაკლისო შემთხვევების დაშვების შესაძლებლობას იძლევა თუკი საკრებულო დაადგენს მაგ წესს."

თეა ჯუღელი: - „ჩვენ თუკი ამის გარანტიები არ შევქმენით და სოციალური დანიშნულება არ მივეცით, ჩვენი სურვილი არ ეყოფა ამას, ეს სამომავლოდ კარგი პროექტი იქნება ძალიან."

ირაკლი შენგელია: - „ჩვენ ამაზე გვქონდა საუბარი, ბათუმსა და თბილისში განსხვავებული მიდგომები აქვთ, ნორმები სხვაგავარად აწესრიგებს საკითხს, თუმცა როგორც ჩემთვის ცნობილია, ინიცირებულია ცვლილებები, რომელიც ითვალისწინებს ანალოგიების გადმოღებას სხვა მუნიციპალიტეტებში, ძირითადად აქ საუბარია ქუთაისზე. ეს ინიცირებული კანონი გაამარტივებს პროცესებს და ამ საგამონაკლისო წესების დასრულების საშუალებას იძლევა. როდესაც პრემიერიც იყო ქუთაისში, რამოდენიმე საკითხი დაისვა და მათ შორის იყო კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულ პირების საკითხი და ამაზე, სახელმწიფოს მიდგომა არის ის, რომ ამ ადამიანებს მიეცეთ საშუალება რომ დაკმაყოფილდნენ, მაშინ როდესაც სახელმწიფოც არის გარკვეულწილად სამართალმემკვიდრე და ამ კუთხით დეველოპერებთან დაიწყო კიდეც მუშაობა, რომ გარკვეული გამონაკლისები დაუშვან, რომ ეს ადამიანები დაკმაყოფილდნენ. რაც შეეხება სოციალურ საკითხს, ესეც გარკვეული ფორმით შეიცავს რისკებს, ვის რა შეიძლება ვთხოვოთ, დავავალდებულოთ. გარე აქტორები, რომლებიც ჩართულები არიან საცხოვრისის შესახლების კომისიის მუშაობაში, საკმაოდ უპასუხისმგებლოდ იქცევიან."

ირაკლი გიორგაძე: - „რამდენჯერმე გაიმართა სხდომა, არ დაესწრნენ სხდომას, ხელისმოწერაზე უარი განაცხადეს."

ბაქარ მახარაძე: - „ქალბატონი თეას თემას გავაგრძელებ, სასამართლო პრეცედენტები რაც გვაქვს, როგორ იზიარებთ მას?"

ირაკლი გიორგაძე: - „ამასთან დაკავშირებით ძალიან ბევრი დასკვნა გვაქვს, საბინაო დავებთან დაკავშირებით, აღიარების კომისიებთან დაკავშირებულ დავებში, სადაც იურიდიულ დასკვნებში პირდაპირ ვამბობ, რომ ეკუთვნის მას და უნდა მისცე, არ სჭირდება

სასამართლო ამას, არ უნდა ზედმეტი ხარჯი, ბაჟი ბიუჯეტიდან, მაგრამ შესაბამისი სამსახურები იკავებენ თავს და ყოფილა შემთხვევა, რომ ჩემი დასკვნის მერე უარი უთქვამთ ბინის პრივატიზებაზე, ეს დასკვნა, როგორც მტკიცებულება მიუციათ და სასამართლოში მიუტანიათ ჩემს წინააღმდეგ. მაშინ არ უნდა მთხოვდნენ და არ უნდა ვწერდე ამ დასკვნას და როცა ვწერ, უნდა ითვალისწინებდნენ, მე პასუხს ვაგებ ჩემს დასკვნაზე და თუ არ ემორჩილებიან ამ დასკვნას რატომ მაწერინებენ."

გრიგოლ შუშანია: - „მაშინ პასუხისმგებლობა უნდა მოჰყვებოდეს მაგას რაღაც, ან საყვედური უნდა უთხრათ, იმანაც უნდა იცოდეს, რომ უპასუხისმგებლოდ არ უნდა მოეკიდოს, რანაირად შენი დასკვნის საფუძველზე მე რომ სამსახურის უფროსი ვიყო და ვიღებ გადაწყვეტილებას ან უნდა მოგწერო რომ ეს პასუხი არ არის სწორი და შეცვალე, არ გეთანხმები ან უნდა გავითვალისწინო, ხომ ასეა? აბა ერთ უწყებაში როგორ შეიძლება ორი სხვადასხვა აზრი იყოს, ან თუ უპასუხისმგებლოდ იქცევა, მოქალაქე ხომ ზიანდება ასეთ დროს, ხარჯების გაწევა უწევს."

ირაკლი გიორგაძე: - „ძირითადად ახლა გაცემა ბინის პრივატიზებაზე ხდება ისეთ შემთხვევაში, როდესაც ყველა დოკუმენტაცია აქვთ წესრიგში, ორდერი, საბინაო წიგნი, რაც წერია მთავრობის დადგენილებაში."

თეა ჯუღელი: - „ბატონო ირაკლი, აი ვთქვათ, ათიდან რამდენია გამართული და რამდენს სჭირდება სასამართლო დავა?"

ირაკლი გიორგაძე: - „გამართული ბევრია, არის ისეთი შემთხვევები, ორდერი, საბინაო წიგნი არ აქვთ, მაგრამ ცხოვრობს წლებია, კომუნალური გადასახადის ქვითრები აქვს ბევრი, სასამართლომ ეს უკვე კანონიერი სარგებლობის დამადასტურებელ დოკუმენტად მიიჩნია უზენაესმა. ქეისი მქონდა ასეთი, საკუთრებაში აქვს ადამიანს ფართი, და წინა ფართი არის საბინაო ფონდის საკუთრება, ეს თუ არ შევიდა საბინაო ფონდის საკუთრებაში, ისე ვერ გადის თავის საკუთრებაში. უარი უთხრა ხუთჯერ, ხუთჯერ დავწერე დასკვნა ამაზე და ვიდრე სასამართლომ ჩაქუჩი არ გვესროლა და ვიდრე ეს ჩანაწერი არ მივიტანე, მანამდე ვერ მოვარიგე."

პეტრე ადამაძე: - „ჩვენი სამსახურის მეორე მიმართულება რაც არის ადმინისტრაციული ერთეულები, ჩვენთან მოდის ამ სამსახურებიდან მოკვლევა კონკრეტული საკითხის დაზუსტების მიზნით, გარდა იმისა, იურიდიული დასკვნა კეთდება, ასევე ფაქტის დადასტურება თავისი ოქმით, ორდერებით და დამატებითი დოკუმენტაციით, რომელიც ჩემი ხელმოწერით მიდის ამ სამსახურებში, გადაწყვეტილების მიღება უკვე, რა თქმა უნდა, მათი კომპეტენციაა."

თეა ჯუღელი: - „მე ვფიქრობ რაღაც უნდა მოვიფიქროთ, პატარა რეკომენდაცია გავამზადოთ ჩვენი სახელით, რომ მოქალაქეებს ცხოვრება უფრო შევუმსუბუქოთ, რა ტიპის დავებია მუდმივად და რაზეც მუდმივად ერთი და იგივე პასუხს ვიღებთ, როგორმე ეს დავები მარტივად უნდა გადავჭრათ და მოქალაქეებს შევუმსუბუქოთ ცხოვრება. როცა გვაქვს პრეცენდენტი და ამას არ ვიყენებთ, ეს ერთ-ერთი ნაკლია, მათ შორის უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის გამოუყენებლობა. ვიცით, რომ სარჩელს მოქალაქე ვერ დაწერს, მას სჭირდება

კვალიფიციური ადვოკატის დახმარება, ეს დამატებით რესურსებთან (ფინანსები, დრო) არის დაკავშირებული, სასამართლო პროცესები გახანგრძლივებულია სასამართლოს გადატვირთულობის გამო.“

ირაკლი გიორგაძე: - „ჩვენთან იურიდიულ განყოფილებაში თუ შემოდის რაიმე, მაგალითად, საბინაო სამსახურიდან, დავწერეთ დასკვნა და მაინც სხვაგვარად გაკეთებულა. ჩვენთან შემოდის ბრძანების პროექტი უკვე როცა თანხმობას აძლევენ, თორე შედის პირდაპირ სამსახურში, სამსახური გადაარჩევს, ეტყვის უარს, თუ რაღაც საეჭვოა გვიგზავნის ჩვენ დასკვნისთვის და დაგვიწერია დადებითი დასკვნა და მაინც ისე გაუკეთებიათ.

პეტრე ადამაძე: - „ბევრჯერ ყოფილა შემთხვევა, როდესაც პირდაპირ ჩვენ დასკვნაში წერია აღნიშნული დოკუმენტი არის საკმარისი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.“

ირაკლი შენგელია: - „თქვენ ხართ სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ხო?“

ირაკლი გიორგაძე: - „მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.“

ირაკლი შენგელია: - „კანონში, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში თუ არებობს ჩანაწერი, რაც განასხვავებს პირველადი და მეორადი სტრუქტურული ერთეულის ანგარიშვალდებულების ნაწილს, მაგალითად საკრებულოს წინაშე?“

ირაკლი გიორგაძე: - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში ტერმინი „სტრუქტურული ერთეული“ გამოყენებული არის პირველადი სტრუქტურული ერთეულის კონტექსტში, 52-ე მუხლში წერია ვინ არიან თანმდებობის პირები, მერი, მერის მოადგილეები და სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები. მეორე პუნქტში უკვე დაფიქსირებულია, რომ თანამდებობის პირთა საერთო რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 13-ს, თუ ჩავთვლით მეორად სტრუქტურულ ერთეულებს სტრუქტურულ ერთეულებში, მაშინ გამოდის თანამდებობის პირთა რაოდენობა გაცილებით მეტია, დავთვალოთ მერიაში რამდენი განყოფილებაა და რამდენი სამსახურია. კანონი, როდესაც საუბრობს სტრუქტურულ ერთეულზე, მოიაზრებს პირველად სტრუქტურულ ერთეულს, ხოლო მოგვიანებით მთავრობის დადგენილებით გაჩნდა მეორადი სტრუქტურული ერთეული.“

ირაკლი შენგელია: - „თქვენ როგორც მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ხართ თუ არ ანგარიშვალდებული საკრებულოს წინაშე, მარტივად კი თუ არა მიპასუხეთ?“

ირაკლი გიორგაძე: - „ანგარიშვალდებული ჩვენ ყველანი ვართ ხალხისა და საკრეულოს წინაშე, ჩემი უშუალო ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია საკრებულოს წინაშე და მეც შესაბამისად. დებულებით, რომელიც დამტკიცებულია საკრებულოს მიერ, მე ანგარიშვალდებული ვარ სამსახურის უფროსის და მერის წინაშე, რომლებიც თავის მხრივ, ანგარიშვალდებული არიან საკრებულოს წინაშე, მეც ანგარიშვალდებული ვარ საკრებულოს წინაშე თუმცა კანონში ასეთი პირდაპირი ჩანაწერი არ არსებობს.“

ირაკლი შენგელია: - „არსებობს თუ არა სადმე კანონში ჩანაწერი აკრძალვის შესახებ, რომ მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა საკრებულოს მოთხოვნის საფუძველზე არ წარმოადგინოს და არ არის ვალდებული წარმოადგინოს ანგარიში?“

ირაკლი გიორგაძე: - „ასეთი ჩანაწერი კანონში არ არის, აკრძალვა არ არსებობს.“

ირაკლი შენგელია: - „როგორც ანგარიშშია მითითებული, 2022 წელს 67 საქმეზე მიმდინარეობდა სასამართლო დავა, მერიის სასარგებლოდ დასრულდა 35 საქმე, 20 საქმე მერიას გასაჩივრებული აქვს შემდგომ ინსტანციაში, ხოლო 12 საქმე გასაჩივრებული აქვს მოწინააღმდეგე მხარეს შემდეგ ინსტანციაში. აქ არ არის მითითებული ამ 67 დავაში ძირითადად რა ტიპის სამართლებრივი აქტებია გასაჩივრებული?“

ირაკლი გიორგაძე: - „როგორც აღვნიშნე, ძირითადად გასაჩივრებული არის აღიარების კომისიის საქმეები, გასაჩივრებულია ბინის პრივატიზების საკითხები და ასევე, სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობა კეთილმოწყობის ნაწილში, 2022 წელს შრომითი დავა დაიწყო თუმცა ჯერ არ დასრულებულა 1 საკითხი, ერთი კი კომისიას ედავება. შრომით ნაწილში ერთადერთი დავა იყო, რომელიც პირველ ინსტანციაში მოვიგეთ, სააპელაციო სასამართლოში აღდგენაზე ეთქვა უარი, თუმცა მერიას 5000 ლარის კომპენსაციის გადახდა დაეკისრა და ამ ნაწილში გვაქვს გასაჩივრებული უზენაეს სასამართლოში.”

ირაკლი შენგელია: - „ცოტა უკან რომ წავიდეთ, რომელიმე შრომითი სასამართლო დავა წააგო მერიამ?

ირაკლი გიორგაძე: - „2019 წელს იყო 3 დავა, ერთი დავა კი მორიგებით დასრულდა. იმ პერიოდში „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი ახალი მიღებული იყო და პრაქტიკა ნაკლები იყო.“

ირაკლი შენგელია: - „ადმინისტრაციული წარმოება როდესაც მიმდინარეობს მერიაში, ამ ადმინისტრაციულ წარმოებაში თქვენ თუ ხართ ჩართული?“

ირაკლი გიორგაძე: - „გააჩნია წარმოებას, თუ ადმინისტრაციული წარმოება სრულდება აქტის გამოცემით, შემოდის ჩვენთან დასავიზებლად, მაგრამ თუ პირდაპირ უარს ეუბნებიან, ეს არ შემოდის ჩემთან. რაც შეეხება არქიტექტურის სამსახურს, არქიტექტურის სამსახურის არანაირი დოკუმენტი არ შემოდის ჩემთან უკვე 3-4 თვეა, როცა ა(ა)იპ გარდაიქმნა სამსახურად პირველი ორი თვე შემოდიოდა, შემდეგ უკვე აღარ. ზედამხედველობაშიც აღარ ვართ, მას შემდეგ რაც ა(ა)იპ-ად გარდაიქმნა და ჰყავს თავისი იურისტი, მათ შორის ყველა კერძო სამართლის იურიდიული პირები აღარ გვეხება, თუმცა კონსულტაციებს გადიან ჩვენთან.“

პაატა ლილუაშვილი: - „რა იყო მოტივი, რომ აღარ ერთვებით არქიტექტურის სამსახურის საქმიანობაში, ვინ მიიღო ეს გადაწყვეტილება?“

ირაკლი გიორგაძე: - „მაგ შეკითხვებზე პასუხი სამსახურის უფროსებს ექნებათ, ჩემთან შემოდიოდა და აღარ შემოდის, არც მიკითხავს რატომ აღარ შემოდის.“

ირაკლი შენგელია: - „შესყიდვების ნაწილშიც არ ერთვებით?“

ირაკლი გიორგაძე: - „შესყიდვების სატენდერო კომისიის წევრი ვარ.“

გრიგოლ შუშანია: - „წინა წელს გქონიათ 67 დავა და ახლა 2023 წელს 6 თვეში 113 დავა, ეს როგორ?

ირაკლი გიორგაძე: - „ზოგიერთი დავა იქიდან არის გადმოსული და ამიტომ.“

თეა ჯუღელი: - „თქვენი სამსახური თუ იყო ჩართული სახელმწიფო აუდიტიდან მოსული დასკვნით მიღებული მითითებების განხილვაში და მის აღმოფხვრაში ჩართული? მაგალითად, საკრებულოს მიმართ გაცემულ რეკომენდაციებს ვასრულებთ, მივიღეთ რამდენიმე აქტი და თქვენთან როგორ ხდება ამ საკითხებზე რეაგირება?“

ირაკლი გიორგაძე: - „როგორც მოგეხსენებათ, სახელმწიფო აუდიტის დასკვნაში დიდი ადგილი ეკავა თანამშრომლებზე სოციალური დახმარების გაცემის საკითხს, ჩვენი და ადმინისტრაციული სამსახურის უშუალო მონაწილეობით შეიქმნა სოციალური დახმარების გაცემის წესი, რომელიც მერმა დაამტკიცა ბრძანებით.“

პეტრე ადამაძე: - „აღნიშნული წესი მკაცრად განსაზღვრავს დახმარების გაცემის წესს და ანგარიშვალდებულებას მერიის წინაშე, იმიტომ რომ ყველა დოკუმენტი, რომელიც უნდა ადასტურებდეს გაცემული თანხის რაოდენობას. მაგალითად, თუ გაცემულია 500 ლარი, თანამშრომელი ვალდებულია 10 დღეში წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია, თუკი ვერ წარმოადგენს, მაშინ თანხა უნდა დააბრუნოს ან ყოველთვიურად დაუკავდება ხელფასის არაუმეტეს 50 პროცენტისა აღნიშნული თანხის ამოწურვამდე.“

თეა ჯუღელი: - „აუდიტის დასკვნაში მითითებულია, რომ საკრებულომ მერიასთან შეთანხმებით მიზანშეწონილია შეიმუშაოს რაიმე წესი ან ინსტრუქცია, რომელიც უზრუნველყოფს წარმომადგენლობითი ხარჯების გაწევას რაციონალურად, ეკონომიურად და გამჭირვალედ“.

ირაკლი შენგელია: - „აუდიტის დასკვნაში ძირითადად საუბარი იყო 3 მიმართულებით, წარმომადგენლობითი ხარჯები, სოციალური დახმარების გაცემა და საწვავი ხარჯი, ამ ორ ნაწილზე დამტკიცდა შესაბამისი წესი.“

ირაკლი გიორგაძე: - „რთული თემაა, წინასწარ ვერ განსაზღვრავ რა კატეგორიის სტუმარი ჩამოვა“.

პეტრე ადამაძე: - „ყველა დოკუმენტში მიღება-ჩაბარების აქტში მითითებულია მიზნობრიობა და ყველა გადარიცხვის აქტთან მიმაგრებულია ყველა აუცილებელი დოკუმენტაცია, ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარების აქტი, დღგ-ს ფაქტურა, ზედნადები.“

თეა ჯუღელი: - „ეს გასაგებია რომ ხდება, მაგრამ აუდიტი გვეუბნება, რომ წესი ან ინსტრუქცია შეიმუშავეთო, სადაც მითითებული იქნება რომ უნდა არსებობდეს ხელშეკრულება, ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტი და ა.შ.“

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თეა ჯუღელმა** დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 6 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გია ბასილაძე, თედო მესხი, ლაშა შალამბერიძე, რომან ქვაჩაკიძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული განყოფილების საქმიანობის ანგარიში

მუხლი 2. დღის წესრიგის მეორე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე.

იურიდიულ საკითხთა კომისიამ სხდომის ფარგლებში შეიმუშავა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიამ უნდა შეიმუშავოს ინსტრუქცია/მეთოდოლოგია, როგორ მოხდება აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების კონტროლი;

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიშვალდებულება უნდა გაიზარდოს საკრებულოს წინაშე, დეპუტატის მიერ გაგზავნილი სადეპუტატო კითხვის ფარგლებში აუდიტმა ამომწურავი პასუხი და შესაბამისი დასკვნა უნდა მიაწოდოს შეკითხვების ავტორს აუდიტორული შემოწმების შედეგების შესახებ. საკრებულოს მხრიდან მოთხოვნის შემთხვევაში აუდიტორული დასკვნები უნდა გახდეს ხელმისაწვდომი და საჯარო.

3. თავის მხრივ, მეტი გამჭვირვალობისათვის მნიშვნელოვანია, შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელი საკრებულოს მიერ იქნას არჩეული, ვინაიდან მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელები იკავებენ პროფესიული ნიშნით განსაზღვრულ თანამდებობებს, რომელიც მნიშვნელოვანია ითვალისწინებდეს პირის დაკავებულ თანამდებობასთან პროფესიულ თავსებადობას, მისი გამოცდილებისა და უნარ-ჩვევების შეფასების შესაძლებლობით. მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის შიდა აუდიტის განმახორციელებელი სუბიექტის ხელმძღვანელი უნდა დაექვემდებაროს თანამდებობაზე დანიშვნის არჩევითი პრინციპის სტრუქტურას.

4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული განყოფილების მიერ საკითხზე მომზადებული დასკვნა და მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ საკითხზე მიღებული გადაწყვეტილება უნდა იყოს შესაბამისობაში, ურთიერთწინააღმდეგობაში არ უნდა მოდიოდეს ერთმანეთთან.

5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურისა თუ კომისიის მიერ, მათ შორის „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ კომისიის მიერ პრაქტიკაში უნდა იქნეს გამოყენებული სასამართლო პრეცედენტები და უზენაესი სასამართლოს

პრაქტიკები, რომელიც კონტინენტური ევროპის სამართლებრივი ოჯახის ქვეყნებშიც შესასრულებლად სავალდებულოდ ითვლება. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია წარმოებული დავების მოკვლევა და ერთი და იმავე საკითხზე დავების დიდი ოდენობით არსებობის შემთხვევაში, უნდა მოიძებნოს გამოსავალი მოქალაქეთა პრობლემების მარტივად გადასაჭრელად, მათ შორის ასეთი გამოსავალი შეიძლება იყოს სასამართლო პრაქტიკების მოხმობა და მათით ხელმძღვანელობა გადაწყვეტილების მიღების დროს.

6. ყველა რგოლის თანამშრომლები უნდა გადიოდნენ მუდმივად კვალიფიკაციის ამაღლების კურსებს, უწყვეტი განათლების პრინციპის მიხედვით ეს აუცილებელია ცოდნის განახლებისათვის, გამოცდილებისა და პრობლემების გაზიარებისათვის. სასურველია მოძიებულ იქნას შესაბამისი პროექტები, რომლებიც აფინანსებენ მსგავს აქტივობებს

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე
თეა ჯუღელი